განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ტარდება

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრა იმართება 2023 წლის 1 ოქტომბერს 08:00 საათიდან 20:00 საათამდე

ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა.

კენჭისყრის შენობაში არ დაიშვებით და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ მოგეცემათ, თუ:

- ✔ არ წარადგენთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს;
- ✔ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება.

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან, რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

გაიკეთეთ მარკირება.

კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ მოგეცემათ, თუ უარს აცხადებთ მარკირებაზე.

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა. ხელმოწერისთვის გამოიყენეთ რეგისტრატორის მაგიდაზე განთავსებული კალმისტარი.

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბექდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი.

უსინათლო ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შესავსებად შეუძლია რეგისტრატორისგან მიიღოს სპეციალური ჩარჩო-ფორმა.
მცირემხედველ ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შესავსებად შეუძლია რეგისტრატორისგან მიიღოს გამადიდებელი ლინზა.
ყრუ ამომრჩეველს ხმის მიცემის პროცედურაზე ინფორმაციის მისაღებად შეუძლია ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით, ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ.

ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი.

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა. თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი.



კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში.

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

მას შემდეგ, რაც სპეციალური კონვერტი აღმოჩნდება საარჩევნო ყუთში, დატოვეთ საარჩევნო უბანი.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი